ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2932457

ნომერი: AR1408187

თარიღი : 27.05.2016

გაცემის თარიღი : 07.11.2016

გაცნობის თარიღი : 08.11.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კოსმონავტების სანაპირო N51გ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 29 ; ქალაქი თბილისი , კოსმონავტების სანაპირო N51 ; ქალაქი თბილისი , სანაპირო კოსმონავტების , N 49 ; ქალაქი თბილისი , კოსმონავტების სანაპირო N45 ; ქალაქი თბილისი , კოსმონავტების სანაპირო N43 ; ქალაქი თბილისი , გამომცემლობა "სამშობლო"-ს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , გამომცემლობა "სამშობლო"-ს მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , სანაპირო კოსმონავტები , N 37 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 29 , (ნაკვეთი N4/139) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 29 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 27ა / ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 29 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაია რჩეულიშვილი პ/ნ 01017003383
- თბილისი ლ.ბოცვაძის ქ. N 14

ორგანიზაცია:

- გეითვეი ჰოლდინგი კოდი: 204531499

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 27 მაისის AR1408187 ელექტრონული განცხადებით მომართა მოქალაქე მაია რჩეულიშვილმა და მოითხოვა ქ.

თბილისში, კოსმონავტების სანაპიროზე (ს/კ N01.13.05.004.058, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.057, N01.13.05.004.142, N01.13.05.004.173, N01.13.05.004.190, N01.13.05.004.213, N01.13.05.004.232, N01.13.05.004.139, N01.13.05.004.137, N01.13.05.004.234,) განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმება.
განაცხადის განხილვისას სამსახურის მიერ დადგენილი იქნა, რომ 2016 წლის 25 მაისის AR1408187 ელექტრონული განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იყო სრულყოფილი, რის გამოც N2899897 (20.10.2016), N2783588 (17.08.2016), N2728368 (21.07.2016) და N2643331 (10.06.2016) გადაწყვეტილებებით განმცხადებელს დაუდგინდა ხარვეზები და მიეცა დრო განახლებული გამოსწორებული დოკუმენტაციის წარმოსადგენად. დღეის მდგომარეობით კვლავ არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებებით განსაზღვრული დოკუმენტაცია, კერძოდ:

- არ არის წარმოდგენილი არსებული და საპროექტო ფუნქციური ზონირების რუკა (ცალ-ცალკე ფურცლად, ალბომში) (აღნიშნული რუკების ნაცვლად წარმოდგენილი რუკები – გვ. NN7,8, – თვისობრივად წარმოადგენს შეთანხმებულ და საპროექტო უფლებრივი ზონირების დეტალურ სავალდებულო რუკებს). ამასთან, ნახაზზე მოცემული უნდა იყოს კონკრეტული ფუნქციური ზონები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად (ზონების ფერები უნდა შეესაბამებოდეს გენგეგმით დადგენილს);

- არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების დასაკორექტირებელი გეგმის უფლებრივი ზონირების დეტალური სავალდებულო რუკა შესაბამისი სათაურით;

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მარტის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად:
განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცების პროცედურა ხორციელდება ორ ეტაპად, რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდ პირველი ეტაპით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შესაძლებელია შემდგომი ეტაპის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.
აღნიშნული ეტაპების ადმინისტრაციული წარმოების ვადებია:
ა)I ეტაპი — განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალების დამტკიცება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესის შესაბამისად – არაუმეტეს 20 დღე;
ბ) II ეტაპი — განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისVI თავით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესის შესაბამისად – არაუმეტეს 30 დღე;
განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს მშენებლობის ნებართვის გამცემი შესაბამისი სამსახური რომელიც საბჭოს შესაბამისი რეკომენდაციის საფუძველზე ამზადებს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების პროექტებსა და გასცემს შესაბამის სამართლებრივ დასკვნებს:
ა) I ეტაპი – განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ;
ბ) II ეტაპი – განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცების შესახებ;
ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტები თბილისის მერის მიერ წარედგინება თბილისის საკრებულოს.
„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 83-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 ნაწილის თანახმად:
ადმინისტრაციული ორგანო 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებთან;
თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია;
თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ VI თავის და ამავე კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

განუხილველად დარჩეს მოქალაქე მაია რჩეულიშვილის 2016 წლის 27 მაისის AR1408187 განცხადება ქ. თბილისში, ქ. თბილისში, კოსმონავტების სანაპიროზე (ს/კ N 01.13.05.004.058, N 01.13.05.004.059, N 01.13.05.004.057, N 01.13.05.004.142, N 01.13.05.004.173, N 01.13.05.004.190, N 01.13.05.004.213, N 01.13.05.004.232, N 01.13.05.004.139, N 01.13.05.004.137, N 01.13.05.004.234,) განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.